

განმცხადებელი : ვიქტორ ნილოსანი

თარიღი : 22-09-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1; პრინციპი 5; პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : მივიჩნევ, რომ მედიასაშუალებამ bm.ge დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1, პრინციპი 5, პრინციპი 11.

ინფორმაცია მედიასაშუალების შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : bm.ge.

სადავო მასალა : 2022 წლის 21 სექტემბერს მედიაპლატფორმაზე bm.ge განთავსდა ინფორმაცია სახელწოდებით- „მეტროში საცობს მგზავრები ქმნიან... ზოლში არ მოძრაობენ - ვიქტორ ნილოსანი“ (<https://bm.ge/ka/article/metrosbi-sacobs-mgzavrebi-qmnian-zolshi-ar-modzraoben---victor-wilosani/116925/>) . ამავე დღეს, იგივე მედიასაშუალების ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნდა ე.წ საინფორმაციო ბანერი (<https://www.facebook.com/www.bm.ge/photos/5362596560516490>).

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : 2022 წლის 21 სექტემბერს მედიაპლატფორმაზე bm.ge გამოქვეყნდა ინფორმაცია (ასევე ფეისბუქგვერდზე საინფორმაციო ბანერი) სახელწოდებით- „მეტროში საცობს მგზავრები ქმნიან... ზოლში არ მოძრაობენ - ვიქტორ ნილოსანი“. როგორც სათაურში, ისე ნიუსის დასაწყისში ხაზგასმულია, რომ თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, მეტროში საცობებს ქმნიან მგზავრები, რადგან ისინი ზოლში არ მოძრაობენ. სინამდვილეში, მედიის მიერ დასმული კითხვა შეეხებოდა მეტროსადგურებში მოლოდინის დროსთან დაკავშირებულ პრობლემას, რაზეც მე სიტყვა-სიტყვით განვაცხადე: (მეტროში მოლოდინის დროსთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ დგას. დგას მხოლოდ „ახმეტელის თეატრთან“ და „ვარკეთილის“ მეტროსთან დაკავშირებით („გაგზის მოედანთან“ დაკავშირებითაც) დგას მხოლოდ შესასვლელის პრობლემა და შესასვლელში არის რიგი, თორემ მეტრო თვითონ ემსახურება ბაქანზე არსებულ ყველა მგზავრს. თქვენ ვერ მაჩვენებთ ვერცერთ შემთხვევას, სადაც მეტრომ გაიარა და ბაქანზე ადამიანები ვერ შევიდნენ. შეიძლება თქვენ მაჩვენოთ ბაქანზე ბევრი ადამიანი, მაგრამ ვერ მაჩვენებთ ვერცერთ კადრს, სადაც მეტროში, ბაქანზე ადამიანები დარჩნენ. ანალოგიური მდგომარეობა არის „სადგურის მოედანზე“. „სადგურის მოედანზე“, გადასასვლელში სამწუხაროდ, ესეც უნდა აღვნიშნოთ, რომ მგზავრებს, არ გვაქვს ის დამოკიდებულება, რომ ზოლში ვიმოძრაოთ და რიგის პრობლემა არის და შესაბამისად, ქმნიან ერთმანეთთან საცობს, ასე ვთქვათ. არ დგებიან საწინააღმდეგო მიმართულებით და ხდება შეფერხებები ერთმანეთთან და ამ შეფერხების გამო პრობლემა აქვს გვირაბს გამტარუნარიანობის, თორემ ბაქანთან მიმართებაში, მეტროს მოლოდინის დროსთან მიმართებაში, არცერთ ბაქანზე მგზავრი გაყვანის გარეშე არ რჩება.) ჩემს მიერ გაკეთებულ კომენტარში მე გამოვყავი ორი პრობლემა-მეტროსადგურებში - „ახმეტელის თეატრი“ და „ვარკეთილი“ შესასვლელებში ნაკადის გატარების პრობლემა და მეტროსადგურში „სადგური მოედანი“ არსებული გვირაბის გამტარუნარიანობის პრობლემა. „სადგურის მოედნის“ შემთხვევაში ხაზი გაუვსვი იმ სამწუხარო ფაქტს, რომ მგზავრებს ხშირად არ გვაქვს დამოკიდებულება (სურვილი) ვიმოძრაოთ იმ მიმართულების ზოლში, საითაც მივდივართ, ეს ქმნის რიგს და შესაბამისად საცობს. რასაკვირველია, კონკრეტული ფაქტის დასახელება არ გულისხმობდა ზოგადად მეტროში არსებული შეფერხებების/ საცობების მიზეზად მგზავრების ზოლებში (ამგვარი ზოლები არ არსებობს მეტროსადგურებში) არასწორად გადაადგილების დასახელებას. შესაბამისად, ბიზნეს მედიის მიერ გავრცელებული სტატია და საინფორმაციო ბანერი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების დეზინფორმირებას, ფაქტის უხეშ დამახინჯებას და თბილისის მერიის დისკრედიტაციას. ვფიქრობ, აღნიშნული დეზინფორმაციის გავრცელებით დაირღვა ქარტიის 1 და მე-11 პრინციპები. bm.ge-ზე ინფორმაციის გამოქვეყნებისთანავე, სოციალურ ქსელში მე მოვითხოვე ინფორმაციის ჩასწორება და ბოდიშის მოხდა მედიის მხრიდან, რაც არ მომხდარა. შესაბამისად,

დაირღვა ქარტიის მე-5 პრინციპი. ჩემი განცხადების სრული ვიდეოჩანაწერი:
<https://youtu.be/Jwur7THMTg0>

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და
ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები